ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1384391

ნომერი: AR1225907

თარიღი : 28.06.2014

გაცემის თარიღი : 18.07.2014

გაცნობის თარიღი : 18.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის29.07.2013წ. #807189 ბრძანებაშიტექნიკური შეცდომისგასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06/11/2014წ. #AR1225907განაცხადითმომართა

დავით ლოსაბერიძემდამოითხოვა სამსახურის29.07.2013წ. #807189ბრძანებისტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შესწორების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 29.07.2013წ. #807189ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი (კრწანისი), სკოლა #65-ის მომიჯნავედ, შ.პ.ს. „ნიუ ჰაუსის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის I ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 30 ივლისიდან 2013 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, არასწორად იქნა ჩამოყალიბებული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და დაფიქსირდა: საერთო ფართობი (კვ.მ).: 2785.4, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1706.9, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 516.9, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 298.7.
აღნიშნულისგამო, დღეისათვის, სამსახურს მომართავს შეთანხმებული კორექტირებული პროექტის არქიტექტორი და ითხოვსბრძანებაშიმიეთითოს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 3109.2, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1967.3, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 551.5, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 327.5, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
სამსახურმაგანმცხადებლისმიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდანგამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.07.2013წ. #807189 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 3109.2, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1967.3, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 551.5, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 327.5, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.07.2013წ. #807189ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.